ფინანსების მართვის გაძლიერებული კურსი

ლექტორი

დავით ხაჩიძე

კურსის დრო

7 მოდული, 13 შეხვედრა, 27 საათი

სასწავლო კურსის მიზნები

მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებისა და მენეჯერების პროფესიული ცოდნის გაღრმავება უფრო რთული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც განაპირობებს ბიზნესის მართვის ხარისხის ამაღლებას, რისკების მინიმიზაციას და გრძელვადიანი სტრატეგიული ზრდის უზრუნველყოფას.

სასწავლო კურსის შინაარსი

მოდული 1: (1.5 სთ, 1 ლექცია) დასაწყისი — ძირითადი ცნებების განახლება

- ფულის დროში ღირებულების მიმოხილვა (ამჟამინდელი ღირებულება, მომავალი ღირებულება, დისკონტირება, კომპაუნდირება)
- Excel-ში ფინანსური ფუნქციების გამოყენება:
  - PV, FV, RATE, NPER, PMT
- საპროცენტო სარგებლისა და ეფექტური განაკვეთის გააზრება
- ***პრაქტიკული სავარჯიშო #1***

მოდული 2: (5 სთ, 2 ლექცია) ბიუჯეტირება, პროგნოზირება და სცენარიული დაგეგმვა

- საოპერაციო ბიუჯეტი (გაყიდვები, ხარჯები, მოგება)
- ფულადი ნაკადების ბიუჯეტი
- პროგნოზირების ტექნიკები:
  - გაყიდვების პროცენტის მეთოდი
  - მარტივი რეგრესიის მოდელები
- სცენარიოს დაგეგმვა:
  - საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური ვარიანტები
- ***პრაქტიკული ქეისი #1***

მოდული 3: (3,5 სთ, 2 ლექცია) საბრუნავი კაპიტალის მართვა

- ფულის საოპერაციო ციკლის ანალიზი:

    - მარაგების ბრუნვის დღეები
    - დებიტორული დავალიანების დღეები
    - კრედიტორული დავალიანების დღეები
- საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაციის სტრატეგიები და დაფინანსების გზები
- ***პრაქტიკული ქეისი #2***

მოდული 4: (5,5 სთ, 3 ლექცია) კაპიტალის სტრუქტურა და კაპიტალური ბიუჯეტირება

- კაპიტალის სტრუქტურის გარჩევა:
    - ვალისა და საკუთარი კაპიტალის დაფინანსების შედარება
    - საგადასახადო ფარის ეფექტი (Tax Shield)
- კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილის (WACC) გამოთვლა:
    - ვალის ღირებულება და საკუთარი კაპიტალის ღირებულება
- CAPM მოდელის გაცნობა:
    - ურისკო განაკვეთი, ბეტა და საბაზრო რისკის პრემია
- ინვესტიციის შეფასების გაღრმავებული ანალიზი:
    - NPV, IRR, ანაზღაურების პერიოდი (Payback Period)
    - რისკზე მორგებული დისკონტირების განაკვეთი
- ***პრაქტიკული სავარჯიშო #2***

მოდული 5: (3 სთ, 1 ლექცია) ბიზნესის დაფინანსება

- დაფინანსების ძირითადი წყაროები:
    - ბანკის სესხები
    - ლიზინგი
    - ვენჩერული კაპიტალი და ანგელოზი ინვესტორები
- როგორ აფასებენ ბანკები და ინვესტორები მცირე და საშუალო ბიზნესებს
- ეფექტური საკრედიტო/ინვესტიციური წინადადების მომზადება
- ***პრაქტიკული სავარჯიშო #3***

მოდული 6: (3 სთ, 1 ლექცია) ფინანსური რისკების მართვა

- ფინანსური რისკების ტიპები:
    - საბაზრო რისკი
    - საკრედიტო რისკი
    - ოპერაციული რისკი

- რისკების თავიდან აცილების მეთოდები (დაზღვევა, კონტრაქტები)
- სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს-ტესტირება
- ***პრაქტიკული სავარჯიშო #4***

მოდული 7: (5.5 საათი, 3 ლექცია) ბიზნესის შედეგების შეფასება ფინანსური კოეფიციენტების მიღმა

- ღირებულებაზე ორიენტირებული შეფასების მეთოდები:
    - დამატებითი ეკონომიკური ღირებულება (EVA)
    - უკუგება ინვესტირებულ კაპიტალზე (ROIC)
- მნიშვნელოვანი შედეგების ინდიკატორები (KPIs)
- Balanced Scorecard-ის კონცეფცია
- ***პრაქტიკული ქეისი #3***

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები შეძლებენ:

- ბიუჯეტის მომზადებას, პროგნოზირებასა და ფინანსურ მოდელირებას;
- საბრუნავი კაპიტალის ეფექტიან მართვას;
- დაფინანსებისთვისა და ინვესტიციებისთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღებას;
- ფინანსური რისკების მართვას;
- ბიზნესის ღირებულების განსაზღვრას და გაუმჯობესებისთვის საჭირო ცოდნის გამოყენებას.

ლექტორის შესახებ

- დავით ხაჩიძეს აქვს ქართული და უცხოური კომპანიების მართვის მდიდარი გამოცდილება და ამჟამად არის KTW ჯგუფის ფინანსური დირექტორი;
- ცოტა ხნის წინ კომპანია „ციტადელში'' საერთაშორისო ბიზნეს განვითარების დირექტორის პოზიციას იკავებდა;
- ასევე, იკავებდა ქართული სამშენებლო კომპანიის CMD-Fortex-ის ფინანსური და ადმინისტრაციული დირექტორის პოზიციას. 2013-2016 წლებში იყო საიუველირო კომპანია ზარაფხანას გენერალური დირექტორი;
- 2016-2018 წლებში იყო ქართულ-გერმანული სამედიცინო ცენტრის მრჩეველი, ასევე, ლიმბახის დიაგნოსტიკის ევროპული ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი;
- 2019-2020 წლებში მუშაობდა ავსტრიაში, ნავთობ-პროდუქტების საერთაშორისო სავაჭრო ჰოლდინგში - United Energy Commodities GmbH გლობალური ფინანსური დირექტორის პოზიციაზე;

- დავითი ასევე არის ილიას სახ. უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სადაც სამაგისტრო კურსზე კითხულობს კომპანიის შეფასების და ფინანსური მენეჯმენტის ლექციებს;
- ლინკდინის პროფილი